1. **საკვლევი თემის (პროექტის) დასახელება***

თემატური სივრცეები და მათი ენობრივი ობიექტივაციის თავისებურებები მარიჯანის შემოქმედებაში

---

2. **საკვლევი თემის (პროექტის) აქტუალობა და მისი პოზიციონირება განაცხადის შევსების დროისათვის შესაბამის დარგში***

საკვლევი თემის აქტუალობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

მარიჯანი მიეკუთვნება იმ იშვიათ ქართველ ქალ მწერალთა რიცხვს, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს მეოცე საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი ხანის მწერლობაში. მარიჯანი პიროვნულად და შემოქმედებითად განასახიერებდა ქალი ავტორის ახალ, თანამედროვე ტიპს ქართულ ლიტერატურაში. იგი მონაწილე იყო ქართული ლექსის განახლების იმ პროცესისა, რომელიც მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში მიმდინარეობდა. ასევე, მარიჯანმა დიდი ყურადღება დაუთმო საბავშვო მწერლობის განვითარებას და თავისი წვლილი შეიტანა მთარგმნელობით სფეროშიც.